ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №6

2017 წლის 15 მარტი

ქ. ახალციხე

,,ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის №23 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28/12/2016, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.173.016139) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული სახით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ლომიძე**

თავი I
ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტი

მუხლი 1. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

დასახელება	2016 წლის გეგმა			II ცვლილება		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	9 634.4	1 755.8	7 878.6	7 749.0	0.0	7 749.0
გადასახადები	2 406.0	0.0	2 406.0	2 150.0	0.0	2 150.0
გრანტები	6 274.4	1 755.8	4 518.6	4 698.0	0.0	4 698.0
სხვა შემოსავლები	954.0	0.0	954.0	901.0	0.0	901.0
ხარჯები	7 584.0	0.0	7 584.0	5 847.9	0.0	5 847.9

შრომის ანაზღაურება	1 420.0	0.0	1 420.0	1 110.7	0.0	1 110.7
საქონელი და მომსახურება	1 524.0	0.0	1 524.0	1 527.7	0.0	1 527.7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	16.6	0.0	16.6	0.9	0.0	0.9
სუბსიდიები	3 173.4	0.0	3 173.4	2 134.6	0.0	2 134.6
გრანტები	125.0	0.0	125.0	85.0	0.0	85.0
სოციალური უზრუნველყოფა	350.8	0.0	350.8	329.5	0.0	329.5
სხვა ხარჯები	974.2	0.0	974.2	659.6	0.0	659.6
საოპერაციო სალდო	2 050.4	1 755.8	294.6	1 901.1	0.0	1 901.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 015.3	1 761.3	3 254.0	3 002.1	1.7	3 000.3
ზრდა	5 158.7	1 761.3	3 397.4	3 027.1	1.7	3 025.3
კლება	143.4	0.0	143.4	25.0	0.0	25.0
მთლიანი სალდო	-2 964.9	-5.5	-2 959.4	-1 101.0	-1.7	-1 099.3
ფინანსური აქტივების ცვლილება	-2 972.7	-5.5	-2 967.2	-1 116.9	-1.7	-1 115.2
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0			0.0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	2 972.7	5.5	2 967.2	1 116.9	1.7	1 115.2
ვალუტა და დეპოზიტები	2 972.7	5.5	2 967.2	1 116.9	1.7	1 115.2
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-7.8	0.0	-7.8	-16.0	0.0	-16.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	7.8	0.0	7.8	16.0	0.0	16.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	7.8	0.0	7.8	16.0	0.0	16.0
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება1)		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9777.8	1 755.8	8 022.0	7 774.0	0.0	7 774.0
შემოსავლები	9 634.4	1 755.8	7 878.6	7 749.0	0.0	7 749.0
არაფინანსური აქტივების კლება	143.4	0.0	143.4	25.0	0.0	25.0
გადასახდელები	12 750.5	1 761.3	10 989.2	8900.9	0.0	8900.9
ხარჯები	7 584.0	0.0	7 584.0	5847.9	0.0	5847.9
არაფინანსური						

აქტივების ზრდა	5 158.7	1 761.3	3 397.4	3027.1	1.7	3025.3
ნაშთის ცვლილება	-2 972.7	-5.5	-2 967.2	-1116.9	-1.7	-1115.2

მუხლი 3. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 7774.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება2)		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	9777.8	1 755.8	8 022.0	7774.0	0.0	7 774.0
შემოსავლები	9 634.4	1 755.8	7 878.6	7 749.0	0.0	7 749.0
არაფინანსური აქტივების კლება	143.4	0.0	143.4	25.0	0.0	25.0
ფინანსური აქტივების კლება	2972.7	5.455	2967.21	1116.9	1.7	1115.2

მუხლი 4. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 2150.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება2)		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	2 406.0	0.0	2 406.0	2 150.0	0.0	2 150.0
საშემოსავლო გადასახადი		1 500.0	0.0	1 500.0	1 430.0	0.0	1 430.0
ქონების გადასახადი	113	906.0	0.0	906.0	720.0	0.0	720.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113111	771.0		771.0	600.0		600.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	0.000			0.000		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	10.0	0.0	10.0	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	7.0		7.000	0.0		
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	3.0		3.000	0.0		
საქართველოში რეგისტრირებულ	1131133	0.000			0.000		

მსუბუქ ავტომობილებზე							
საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე)	1131134	0.000			0.000		
საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე	1131135	0.000			0.000		
საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე	1131136	0.000			0.000		
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	5.0	0.0	5.000	5.0	0.0	5.000
ფიზიკური პირებიდან	1131141	4.0		4.0	4.0		4.0
იურიდიული პირებიდან	1131142	1.0		1.0	1.0		1.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	120.0	0.0	120.0	115.0	0.0	115.0
ფიზიკური პირებიდან	1131151	20.0		20.0	5.0		5.0
იურიდიული პირებიდან	1131152	100.0		100.0	110.0		110.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	1136	0.0			0.0		
სხვა გადასახადები	116	0.000			0.000		

მუხლი 5. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4698.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება 2)		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	6 274.4	1 755.8	4 518.6	4 698.0	0.0	4 698.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	6 274.4	1 755.8	4 518.6	4 698.0	0.0	4 698.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	4 518.6	0.0	4 518.6	4 698.0	0.0	4 698.0
გათანაბრებითი ტრანსფერი		4 351.6		4 351.6	4 531.0		4 531.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		167.0		167.0	167.0		167.0

ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად		0.0			0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	1 755.8	1 755.8	0.0	0.0	0.0	0.0
რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი		1 755.8	1 755.8		0.0		
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		0.0			0.0		
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი		0.0			0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი		0.0			0.0		
		0.0			0.0		

მუხლი 6. ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 901.0 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	კოდი	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება2)		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	14	954.0	0.0	954.0	901.0	0.0	901.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	280.0	0.0	280.0	180.0	0.0	180.0
პროცენტები	1411	200.0		200.0	100.0		100.0
დივიდენდები	1412	0.0			0.0		
რენტა	1415	80.0	0.0	80.0	80.0	0.0	80.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	50.0		50.0	60.0		60.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	30.0		30.0	20.0		20.0
სხვა არაკლასიფიცირებული რენტა	14159	0.0			0.0		
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	299.0	0.0	299.0	370.0	0.0	370.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	279.0	0.0	279.0	340.0	0.0	340.0
საერთო-სახელმწიფოებრივი სალიცენზიო მოსაკრებელი	14222	0.0			0.0		
სანებართვო მოსაკრებელი	14223	9.0		9.0	10.0		10.0
სახელმწიფო ბაჟი	14227	0.0			0.0		
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების							

მოსაკრებელი	14229	0.0			0.0		
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.0			0.0		
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	170.0		170.0	220.0		220.0
კულტურული მემკვიდრეობის სარეაბილიტაციო არეალის ინფრასტრუქტურის ადგილობრივი მოსაკრებელი	142215	0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის	142216	0.0			0.0		
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	100.0		100.0	110.0		110.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0			0.0		
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	20.0	0.0	20.0	30.0	0.0	30.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	14231	0.0			0.0		
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	20.0		20.0	30.0		30.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	370.0		370.0	350.0		350.0
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე	144	0.0			0.0		
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	5.0		5.0	1.0		1.0

მუხლი 7. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 5847.9 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება2)		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	7 584.0	0.0	7 584.0	5847.9	0.0	5847.9
შრომის ანაზღაურება	1 420.0	0.0	1 420.0	1110.7	0.0	1110.7
საქონელი და მომსახურება	1 524.0	0.0	1 524.0	1527.7	0.0	1527.7
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	16.6	0.0	16.6	0.9	0.0	0.9
სუბსიდიები	3 173.4	0.0	3 173.4	2134.6	0.0	2134.6
გრანტები	125.0	0.0	125.0	110.0	0.0	85

სოციალური უზრუნველყოფა	350.8	0.0	350.8	329.5	0.0	329.5
სხვა ხარჯები	974.2	0.0	974.2	659.6	0.0	659.6

მუხლი 8. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 3002.1ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 3027.81 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება1)		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	414.4	0.0	414.4	110.8	0,0	110.8
თავდაცვა და უსაფრთხოება	0	0	0	0	0	0
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4687.0	1761.3	2925.7	2912.3	1.7	2910.5
განათლება	45,9	0,0	45,9	4.0	0,0	4.0
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	11.4		11.4	0	0	0
სულ	5 158.7	1761.3	3397.4	3027.1	1.7	3025.3

ბ) განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 25.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2016 წლის გეგმა			2017 წლის პროექტი(ცვლილება1)		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები

არაფინანსური აქტივების კლება	143,4	0,0	143,4	25,0	0,0	25,0
ძირითადი აქტივები	47,9		47,9	0,0		
არაწარმოებული აქტივები	95,5	0,0	95,5	25,0	0,0	25,0
მიწა	95,5		95,5	25,0		25,0

მუხლი 9. განისაზღვროს ქ.ახალციხის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის გეგმა			II ცვლილება		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 701.7	0.0	2 701.7	1 701.3	0.0	1 701.3
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 698.2	0.0	2 698.2	1 701.3	0.0	1 701.3
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 578.2	0.0	2 578.2	1 601.3	0.0	1 601.3
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	120.0	0.0	120.0	100.0	0.0	100.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	3.5	0.0	3.5	0.0	0.0	0.0
702	თავდაცვა	60.0	0.0	60.0	51.7	0.0	51.7
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	4 230.2	1 761.3	2 468.9	2 891.1	1.7	2 889.4

7045	ტრანსპორტი	3 969.2	1 761.3	2 207.9	2 688.7	1.7	2 687.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 969.2	1 761.3	2 207.9	2 688.7	1.7	2 687.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	228.2	0.0	228.2	184.3	0.0	184.3
705	გარემოს დაცვა	671.0	0.0	671.0	748.0	0.0	748.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	671.0	0.0	671.0	748.0	0.0	748.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 682.0	0.0	1 682.0	699.4	0.0	699.4
7061	ბინათმშენებლობა	809.3	0.0	809.3	462.4	0.0	462.4
7064	გარე განათება	872.8	0.0	872.8	237.0	0.0	237.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	109.5	0.0	109.5	99.8	0.0	99.8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	109.5	0.0	109.5	99.8	0.0	99.8
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 343.1	0.0	1 343.1	948.4	0.0	948.4
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	307.1	0.0	307.1	247.0	0.0	247.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	811.3	0.0	811.3	548.6	0.0	548.6
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	224.8	0.0	224.8	152.8	0.0	152.8
709	განათლება	1 428.6	0.0	1 428.6	1 308.5	0.0	1 308.5
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 417.6	0.0	1 417.6	1 298.5	0.0	1 298.5
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	11.0	0.0	11.0	10.0	0.0	10.0
710	სოციალური დაცვა	516.7	0.0	516.7	442.7	0.0	442.7
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	271.4	0.0	271.4	238.0	0.0	238.0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	240.8	0.0	240.8	210.0	0.0	210.0

71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	30.6	0.0	30.6	28.0	0.0	28.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	245.3	0.0	245.3	204.7	0.0	204.7
	სულ	12 742.7	1 761.3	10 981.4	8 890.9	1.7	8 889.2

მუხლი 10. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო
განისაზღვროს ქ.ახალციხის ბიუჯეტის მთლიანი სალდო **-1101.0** ათასი ლარი.

მუხლი 11. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება **-1116.9** ათასი ლარი.

მუხლი 12. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება
განისაზღვროს ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -16.0 ათასი ლარი.

მუხლი 13. ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით
ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის გადაწყვეტილების საფუძველზე.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი
1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 167,0 ათასი ლარი, მიიმართოს:
ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 99.8 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 51.7 ათასი ლარი;

გ) სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურება 6.0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა
მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

თავი II
ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. **თავდაცვა და უსაფრთხოება(პროგრამული კოდი 02 00)**

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.

ა) ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა - 51.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 02 02)

- **განმახორციელებელი: ქალაქ ახალციხის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური**

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღრიცხვა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება. ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** სამხედრო ძალებში გაწვეული ახალგაზრდების რაოდენობა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 4338.5 ათასი ლარი

(პროგრამული კოდი 03 00)

ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა - 2688.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

- **განმახორციელებელი:** ქალაქ ახალციხის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის სამსახური

პროგრამის მიზანია გზებზე მგზავრთა შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა, გზების ტექნიკური მდგომარეობის გაუმჯობესება, ქუჩების განტვირთვა ჭარბი სატრანსპორტო ნაკადებისაგან და ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის ტერიტორიაზე დაზიანებული ქუჩების და შიდა ეზოების მიმდინარე შეკეთება.

რეაბილიტაცია ჩაუტარდება და ასფალტო ბეტონის საფარი, სანიაღვრე არხების მოწყობა განხორციელდება ქალაქ ახალციხეში ვაჟა-ფშაველას, ჭყონდიდელის, გვარამაძის, სულხან-საბას, შალვა ახალციხელის, გამრეკელის, ილია მართლის, მღვდელი თეოდორეს, ჯავახიშვილის ქუჩების, ასევე რუსთაველის ქუჩაზე დაგეგმილია სკვერისა და ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები, კოსტავას ქუჩაზე ტროტუარების რეაბილიტაცია, გაგრძელდება ქეთევან დედოფლის, ჩოლოყაშვილის, ბარათაშვილის, კლდიაშვილის, დანიელაშვილის, ახვლედიანის ქუჩების, კლინიკა „იმედის“ მისასვლელი ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომელიც დაგეგმილი იყო და სამუშაოები მიმდინარეობდა 2016 წელს.

განხორციელდება ქალაქის ქუჩების იერსახის შენარჩუნებისა და მოვლა-შენახვის ღონისძიებები; განხორციელდება ქუჩების ორმული შეკეთება; განთავსდება საგზაო ნიშნები; ვიდეო მეთვალყურეობის კამერები, უსაფრთხო და კომფორტული გახდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მოქალაქეთა გადაადგილება.

- **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზებული და რეაბილიტირებული იქნება ქალაქის გარკვეულ უბნებში ქუჩები, ასევე შეკეთდება კორპუსების ეზოები და ტროტუარები; განხორციელდება ქუჩების ორმული შეკეთება; განთავსდება საგზაო ნიშნები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა და უსაფრთხო და კომფორტული გახდება ავტოსატრანსპორტო საშუალებებისა და მოქალაქეთა გადაადგილება;
- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარება, მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 1465.5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. ასევე . უზრუნველყოფილი იქნება ქალაქის დასუფთავების ღონისძიებები, ქალაქის იერსახის გაუმჯობესების ღონისძიებები კორპუსებისა და კორპუსის ტიპის შენობების ფასადებისა და სახურავების რეაბილიტაცია

ბ.ა) დასუფთავება - 748.0,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

- **განმახორციელებელი:** ქალაქ ახალციხის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის სამსახური

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, ასევე საცხოვრებელი კორპუსების გარე ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება. დასუფთავებისათვის ავტოტრანსპორტის შეძენა, რათა შეიქმნას მოსახლეობისათვის სათანადო სანიტარიული, ეკოლოგიური და საყოფაცხოვრებო პირობები.

- **პროექტის მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** გაუმჯობესებული სანიტარიული პირობები
- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან მაქსიმალურად გათავისუფლებული ქალაქი;

ბ.ბ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია - 237.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

- **განმახორციელებელი:**ქალაქ ახალციხის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის სამსახური

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ქალაქის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: განახლდება და გაუმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობები; ქალაქის იერსახის გალამაზება;

- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** ქუჩების განათების პროცენტული მაჩვენებელი;.

ბ.გ) სახურავების, ფასადებისა რეაბილიტაცია - 423.7 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

- **განმახორციელებელი:**ქალაქ ახალციხის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის სამსახური

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაცია დაემატა ფარნავაზ მეფის №4, სულხან-საბას №1, კოსტავას №12 სახურავების რეაბილიტაცია ,გაგრძელდება ზარზმელის, ახალციხელის, ნათენაძის საცხოვრებელი კორპუსების სახურავების რეაბილიტაცია, თამარაშვილის ქუჩაზე კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, რომელიც დაგეგმილი იყო და მიმდინარეობდა სამუშაოები 2016 წელს.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: განახლდება და გაუმჯობესდება მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობები,ქალაქის იერსახის გალამაზება;

- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** განახლებული და გაუმჯობესებული კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობები ქალაქის გალამაზებული იერსახე;

ბ.დ) **ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა (არასაცხოვრებელი)(პროგრამული კოდი 03 02 04) 56.9 ათ. ლარი.**

- **განმახორციელებელი:**ქალაქ ახალციხის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის სამსახური

გაგრძელდება არასაცხოვრებელი საოფისე ფართის მშენებლობა ეგრეთ წოდებული ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე 150 კვ. მეტრზე.ასევე სასამართლოს გადაწყვეტილებით ფიზიკური პირის (ნ. ოქრომელიძის)

საკუთარი ქონების აღდგენა რომელიც დაგეგმილი იყო და სამუშაოები მიმდინარეობდა2016 წელს

- **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** ინფრასტრუქტურის განვითარება მშენებლობა ტბის მიმდებარედ ქალაქის გარეუბნის განაშენიანება
- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** განახლებული და გაუმჯობესებული ქალაქის გალამაზებული იერსახე;

გ) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები - 180,0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

- **განმახორციელებელი:**ქალაქ ახალციხის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის სამსახური

პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. განხორციელდება არსებული სკვერების და სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა;

გ.ა) **ქ.ახალციხის მუნიციპალიტეტში სპორტული მოედნების და საბავშვო ატრაქციონების მოწყობა(პროგრამული კოდი 03 03 03) 180,0 ათ. ლარი.**

- **განმახორციელებელი:** ქალაქ ახალციხის მერიის ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის სამსახური

პროგრამების ფარგლებში დაგეგმილია ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარებისკენ მიმართული მრავალმხრივი სამუშაოები, რათა გაუმჯობესდეს ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა. განხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია და ახლის მოწყობა; საბავშვო ატრაქციონების მოწყობის ღონისძიებები.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: გაუმჯობესდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები;მოზარდებისათვის მოეწყობა მინი სტადიონები და გასართობი ინფრასტრუქტურა;
შეიქმნება დასვენებისათვის სასიამოვნო და კომფორტული გარემო;
ქალაქის იერსახის გალამაზება;

- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** განახლებული და გაუმჯობესებული ქალაქის გალამაზებული იერსახე;

დ) ააიპ ქალაქ ახალციხის მერიის მდგრადი განვითარების სააგენტო 4.3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

- **განმახორციელებელი:** ააიპ – ქალაქ ახალციხის მერიის მდგრადი განვითარების სააგენტო

დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში ენერგოეფექტურ საკითხებზე მომუშავე მაკორდინირებელი რგოლის ჩამოყალიბება ,რომელიც მუდმივ რეჟიმში იმუშავებს მდგრადი ენერგეტიკის კლიმატის ცვლილებების საკითხებზე.

3. განათლება -1308,5 ათ ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და ხარისხის მართვის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება.
პროგრამის მიზანია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, მათი საქმიანობის ორგანიზება, კოორდინაცია და ხელშეწყობა, დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა და ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.ქალაქში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 ბაგა-ბაღი, სადაც სკოლამდელ განათლებას იღებს 1300-მდე ბავშვი.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წარჩინებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდიის დანიშვნა. რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების სწავლის ხარისხის ამაღლების სტიმულირება.

ა.სკოლამდელი განათლება- 1298.5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

ა.ა) სკოლამდელი აღზრდის ხარჯები – 1294,5 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 04 01 01)

- **განმახორციელებელი**: ქალაქ ახალციხის ა(ა)იპ – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება;

ქ. ახალციხის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს **8** საბავშვო ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს **1300** - მდე აღსაზრდელი. პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს და ბაღების სხვა მიმდინარე და კაპიტალურ ხარჯებს.

- **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** სასკოლო ასაკის ყველა ბავშვის ინტელექტუალური, ფიზიკური, სოციალური და ემოციური განვითარების დონის ამაღლება.
  გაუმჯობესებული სააღმზრდელო პროცესი;დაწესებულებების მენეჯმენტის სრულყოფა.

- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** განხორციელებული აქტივობების მიმართ დადებითად განწყობილი მშობლების რაოდენობა

ა.ბ.)სკოლამდელი დაწესებულებებისმშენებლობა და ინვენტარით უზრუნველყოფა 4.0 ათასი ლარი(პროგრამული კოდი 04 01 01)

ბ) **ქ.ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ მოსწავლეებსა და სტუდენტებს (პროგრამული კოდი 04 02) 10.0 ათ. ლარი .**

- **განმახორციელებელი:**ქალაქ ახალციხის მერიის კულტურის,განათლების სპორტის ,ძეგლთა დაცვის ახალგაზრდობის საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური;

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წარჩინებული მოსწავლეებისა და სტუდენტებისათვის ყოველთვიური სტიპენდიის დანიშვნა. რაც გაზრდის მათ მოტივაციას სასწავლო პროცესის მიმართ. პროგრამის მიზანია ახალგაზრდების სწავლის ხარისხის ამაღლების სტიმულირება.

- **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:**ნიჭიერი მოსწავლეებისა და სტუდენტების წარმოჩენა და წახალისება.
- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** სტიპენდიის მიმღებ მოსწავლეთა სტუდენტთა რაოდენობა.

4. კულტურა, რელიგია ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი 977.2 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ხელს უწყობს ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა 247.0 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება აიპ – სპორტული სკოლის და აიპ – მძლეოსანთა სპორტული კლუბის აიპ ს/ჯ რეგიონალური სარაგბო კლუბი ,,ტაოს“ ფინანსური მხარდაჭერა, რათა მას ჰქონდეს შესაძლებლობა უზრუნველყოს სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

ა.(ა) ა(ა)იპ – ქალაქ ახალციხის სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01) 106.0 ათ. ლარი.

- **განმახორციელებელი:**ა(ა)იპ – ქალაქ ახალციხის სასპორტო სკოლა

აღნიშნული სკოლის მიზანია სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, კერძოდ ფუნქციონირებს შემდეგი სპორტის სახეობები: მძლეოსნობა, ძალოსნობა, კრივი, ფეხბურთი, ჭადრაკი, რაგბი, თავისუფალი

ჭიდაობა, კიგბოქსინგი, ველოსპორტი და კალათბურთი.

- **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** სპორტის სხვადასხვა სახეობაში ადგილობრივ და საქალაქთაშორისო რანგის შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლა.
- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** სპორტულ ცხოვრებაში აქტიურად ჩაბმული ბავშვების რაოდენობა.

ა.ბ) **ა(ა)ი.პ. ქალაქ ახალციხის მძლეოსნობისა სპორტული კლუბი (პროგრამული კოდი 05 01 02) 121.0 ათ. ლარი;**

- **განმახორციელებელი:** ა(ა)იპ – ქალაქ ახალციხის **მძლეოსნობისა სპორტული კლუბი**

ქვეპროგრამის მიზანია მძლეოსნობისა და რაგბის პოპულარიზაცია და განვითარება, პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება. მძლეოსნობაში ფუნქციონირებს სამი ასაკობრივი ჯგუფი.

- **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლა.
- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** მძლეოსნობაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

ა.გ) ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი "ტაო" (პროგრამული კოდი 05 01 03) 20,0 ათ. ლარი;

- **განმახორციელებელი ა(ა)იპ – სამცხე ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი "ტაო"**

ქვეპროგრამის მიზანია რაგბის პოპულარიზაცია და განვითარება, პერსპექტიული სპორტსმენების აღზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი: შეჯიბრებებში წარმატებული გამოსვლა.

- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:** რაგბში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 548.6 ათასი ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის დაწესებულებების გაერთიანება - 143.6 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

- **განმახორციელებელი**: ა(ა)იპ – ქალაქ ახალციხის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ქვეპროგრამის მიზანია ახალციხის კულტურული, სახელოვნებო და საგანმანათლებლო დაწესებულებების (კულტურის სახლი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, რაბათის ბიბლიოთეკა) საქმიანობის ორგანიზება. ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ფოლკლორული ანსამბლ "მესხეთის" და ქორეოგრაფიული ანსამბლის საქმიანობის ხელშეწყობა. ასევე მკითხველთათვის საბიბლიოთეკო მასალების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამეცნიერო რესურსების მიღება, შეგროვება, დაცვა და პოპულარიზაცია.

- **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** მოსახლეობის კულტურულ საგანმანათლებლო ცხოვრების ამაღლება.

ბ.ბ) კულტურული ღონისძიებები - 74.0 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 02)

- **განმახორციელებელი: ქალაქ ახალციხის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური**

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებს ორგანიზება, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვასა და მისი რეალიზების კოორდინაცია. კულტურის სფეროში განსაკუთრებით ნიჭიერი და შემოქმედი ახალგაზრდების მხარდაჭერა. კულტურის დღეების, კონკურსების, ფესტივალებისა და გამოფენების ორგანიზება.

- **მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:** ქალაქის კულტურული ცხოვრების გააქტიურება; კულტურის და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის ზრდა; კულტურის განვითარება და პოპულარიზაცია
- **საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი:**ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა; ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა;

ბ.გ) თეატრები -65.0 ათასი ლარი (ქვეპროგრამის კოდი 05 02 03)

- **განმახორციელებელი: სსიპ – ახალციხის თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი,**
- **სსიპ მესხეთის(ახალციხის)პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი**

